ელენე გოგოლაშვილი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

Bilateral გაცვლითი პროგრამის მონაწილე (Fairleigh Dickinson University, USA)

"2019 წელს კავკასიის ბიზნესის სკოლაში ჩარიცხვა წარმოუდგენელი მოგზაურობის დასაწყისი აღმოჩნდა ჩემთვის. დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ორმხრივი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წავედი სასწავლებლად ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტში, აშშ-ში.

ოკეანის მიღმა, ახალ ქვეყანაში ცხოვრებისა და სწავლის ერთმა წელიწადმა, კულტურულ მრავალფეროვნებებთან ადაპტაციამ, განსხვავებულ ადამიანებთან შეხვედრამ და ახალი პერსპექტივების მიღებამ ჩემში გამოიწვია უზარმაზარი პიროვნული ზრდა, გაამდიდრა ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება, მომცა დაუვიწყარი მოგონებები და საბოლოოდ, გამიღრმავა ცოდნა ფინანსებში, ინვესტიციებში, ეკონომიკაში და მარკეტინგში გლობალურ დონეზე. რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი კავკასიის უნივერსიტეტს, არა მხოლოდ ამ შესაძლებლობისთვის, არამედ ამ პერიოდის განმავლობაში მუდმივი მხარდაჭერისთვის.

ჩემს ისტორიას განსაკუთრებით ვუზიარებ ყველა სტუდენტს და ახალგაზრდას, რათა შთავაგონო, რომ ყველაფერი ოცნებით იწყება, და რომ ის შეიძლება არაჩვეულებრივ რეალობად იქცეს."